



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 2 „ 18 „ 05 2020

**დადგენილება № 19**

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N35 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N35 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და აღნიშნული წესის მე-3 მუხლის 3.2. პუნქტის პირველი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
 „1. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა, გადალახა ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. იმ სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც მოითხოვება უცხო ენის ცოდნა, კონკურსის აბარებს გამოცდას უცხო ენაში, რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონე ან შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე